ალ. ყიფშიძე

ბატონ-ყმობის კანონმდებლობა საქართველოში

39036

1898
ტფილისი
XII

ბატონ-ყმობის გადავარდნა საქართველოში *)

(საისტორიო ცნობა)

„გადაიწერე პირ-ჯვარი, მართლ-მადიდებელო გლეხკაცობავ, და ჩვენთან ერთად შესთხოვე ღმერთს, რათა მან აკურთხოს შენი თავისუფალი შრომა,—ეგ წინდი შენის კეთილ-დღეობისა და ქვეყნის წარმატებისა“.

მანიფესტი 19 თებერვლისა 1864 წ.

ამ წლის 8 ნოემბერს შესრულდა სწორედ 34 წელიწადი ბატონ-ყმობის გადავარდნისა და გლეხთა განთავისუფლებისა ტფილისის გუბერნიაში. ერთის წლის უკან ბატონ-ყმობა გადავარდა ქუთაისის გუბერნიაშიც, ხოლო გავიდა მას უკან ხუთი წელიწადიცა და შემოღებულ იქმნა ესრედ-წოდებული საგლეხო დებულება 1870 წლის 14 მაისისა ამიერ-კავკასიის სხვა გუბერნიებისათვისაც. ამ სახით, ერთის წლის განმავლობაში დამთავრდა ყოვლად მშვიდობიანად ბატონ-ყმობის გადავარდნის საქმე საქართველოში, ხოლო შემდეგს ხუთს წელიწადს მოეწყო მთელ ამიერ-კავკასიის გლეხთა საადგილმამულო საქმეცა.

შემოდგომის დამდეგს მობრძანდა ჩვენში და საქართველოს სამეუფო ქალაქმაც დიდის სიხარულით მიიღო ის, ვის დროსაც იქმნა შემოღებული ჩვენში შესანიშნავი ცვლილებანი—მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. გახარებული სახე ტფილისის მკვიდრთა, რომელნიც მრავლად შეკრებილიყვნენ მთავარ-მართებლის სასახლის წინა და ახალ სამხედრო ტაძრის ახლო-მახლო, ნამესტნიკად ნამყოფის მოლოდინში, უნებურად აგონებდა მხილველს იმ დიდის ხნის ამბავს, იმ სადღესასწაულო გარე-

*) ეს წერილი ნოემბრის ნომრისათვის იყო დამზადებული, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მხოლოდ ამ ნომერში იბეჭდება.

მოებას, როცა იმავე სასახლის მახლობლად და გუნიბის მოედანზე, სადაც ეხლა სამხედრო ტაძარია აშენებული, 34 წლის წინად, ბატონ-ყმობის გადავარდნა მეფე-განმანთავისუფლებლის ნებითა საქვეყნოდ იქმნა გამოცხადებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ტფილისი ხშირად არ შესწრებია თავის ხანგრძლივს ცხოვრებაში იმისთანა შესანიშნავს და ყოვლად სასიხარულო დღეებს. დიდის ამბითა და ცერემონიით იყო მაშინ გამოცხადებული უმაღლესი ბრძანება 1864 წლის 13 ოქტომბრისა გლეხთა განთავისუფლებისა და სხვა საგლეხო კანონ-დებულებათა შემოღების შესახებ. დიდებული წუთი იყო სწორედ! მთლად ტფილისის ბრწყინვალე მოხელეობა და უფლება-მოსილნი წარმომადგენელნი მთავრობისა, სამხედრო და საერო უწყებისანი, მონაწილენი იყვნენ ამ დღესასწაულისა. რა თქმა უნდა, რომ ამ ამბის დროს, უმთავრესი ადგილი ეჭირა ერთს, რომელსაც მისჩერებოდნენ თვალნი ყოველთანი და ეგ ერთი იყო მისი უმაღლესობა, დიდი მთავარი, ნამესტნიკი კავკასიისა.

მისის უმაღლესობის მობრძანებამ ტფილისს გვაფიქრებინა მოუთხრათ მკითხველთ მოკლედ ამბავი გლეხთა განთავისუფლებისა ჩვენში და საგლეხო კანონ-დებულებათა გამოცხადებისა, როგორც თვით ტფილისში, ისე გორსა, თელავსა და სიღნაღში, და აგრეთვე სოფლებშიაც. ხოლო ყოველივე ეს ამბავი, ხელმწიფე იმპერატორის ნებით, მოჴხდა 8 ნოემბერს, მიხეილ მთავარ-ანგელოზობის დღეს, ესე იგი სწორედ ნამესტნიკის სახელ-წოდების დღესა.

5 ნოემბერს 1864 წელს ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით მის უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტმა, გვარდიის პოლკოვნიკმა ბარონ კორფმა მიართვა ნამესტნიკს სახელ-დებული უმაღლესი ბრძანება, მიწერილი უუმართებულესის სენატის მიმართ 13 ოქტომბერს 1864 წელს შესახებ ტფილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა განთავისუფლებისა, მათის ყოფა-ცხოვრების მოწყობისა და მათის ურთიერთობისა მებატონეთა თანა; მიართვა აგრეთვე იმ ბრძანებასთან ერთად დამტკიცებული 13 ოქტომბერსვე საგლეხო კანონ-დებულებანი.

იმ ცერემონიალის ძალით, რომელიც შედგენილ იქმნა ნამესტნიკის მთავარ-სამმართველოს საბჭოს მიერ, გამოცხადება ზემო-

ხსენებულის ბრძანებისა ერთსა და იმავე დღეს ტფილისშიაცა და სამაზრო ქალაქებშიაც ასე მოჰხდა: ჯერ გარდახდილ იქმნა სიონში სამადლობელი პარაკლისი ნამესტნიკის სახელ-წოდების მიზეზით, შემდეგ უმფროსი მთავარ-სამმართველოსი, სენატორი და სტატს-სეკრეტარი ბარონი ა. პ. ნიკოლაი, წევრნი ამიერ-კავკასიის ცენტრალის კომიტეტისა და, სამოქალაქო გუბერნატორის გ. ი. ორლოვსკის მაგიერ, რომელიც გორში იქმნა გაგზავნილი, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ვლასტოვი, გაემართნენ გუნიბის მოედნისკენ და დაიჭირეს ადგილი იმ კიბის ზემო საფეხურზე, რომლითაც არსენალში ავიდოდა კაცი. არსენალის წინ, ბაქანზე, დადგნენ ტფილისს მყოფნი თავად-აზნაურნი; თვით მოედანზე დაცემული იყო კარავი, სადაც უნდა შესრულებულიყო მღვთის-მსახურება, ხოლო მის აქეთ-იქით დაეჭირათ ადგილი ამ დღისთვის მოწვეულ მამასახლისებსა და ტფილისის მაზრის საბატონო სოფლებიდან მოსულ ორ-ორ დეპუტატს. როცა ყველა ზემოხსენებულნი შეიკრიბნენ და სამღვდელოებამაც თავი მოიყარა, მთავარ-სამმართველოს უფროსმა ბარონმა ნიკოლაიმ ხმა-მაღლა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება გლეხთა-განთავისუფლებისა და ბატონ-ყმობის გადავარდნისა. ბრძანება ქართულადაც იყო გადათარგმნილი და რუსულთან ერთად წაკითხულ იქმნა მაშინვე ქართულადაც. შემდეგ სამღვდელოებამ გარდაიხადა პარაკლისი მრავალჟამიერის წარმოთქმით ხელმწიფე იმპერატორისა დ̃ უავგუსტოესის სახლეულობისათვის. გათავდა პარაკლისი და მამასახლისებს დაურიგდათ თითო ეკზემპლიარი უმაღლესად დამტკიცებულ დებულებათა. მას უკან მამასახლისნი და დეპუტატები გაემართნენ დიდის მთავრის სასახლისაკენ და იქ დამწკრივდნენ ორ-ორნი მაზრის უფროსის თავადის ბებუთაშვილის ხელ-მძღვანელობით; დამწკრივდნენ ისე, რომ პირი სასახლისკენა ჰქონდათ შექცეული.

მთავარ-სამმართველოს უფროსმა ცენტრალის კომიტეტის წევრებითურთ დაიჭირა ადგილი საგანგებოდ გამართულს მაღლობზე; ეს მაღლობი გამართული იყო ტროტუარზე სასახლის შუა-გულ აივნის პირდაპირ. მაღლობის აქეთ-იქით ადგილი ეჭირათ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ.

როცა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა გამოვიდა აივანზე, მთავარ-სამმართველოს უფროსმა წაიკითხა ყველასთვის გასაგონის ხმით სიტყვა ნამესტნიკისა, მიმართული ტფილისის გუბერნიის იმ გლეხ-კაცებისადმი, რომელნიც განთავისუფლებულ იქმნენ ბატონთა დამოკიდებულებისაგან; ეს სიტყვა კითხვის დროსვე ითარგმნებოდა ქართულადაც. შემდეგ წაკითხულ იქმნა სია იმათი, რომელნიც ნამესტნიკს დაენიშნა მომრიგებელ შუა-კაცებად და მათ კანდიდატებად ტფილისის მაზრისათვის. სიაში მოხსენებულნი იყვნენ: პირველ განყოფილებისათვის თ. ილია ჭავჭავაძე, მეორესათვის—თ. ივანე სუმბათაშვილი და მისი კანდიდატი ივ. გაბაშვილი და მესამესათვის—პოლკოვნიკი ისრაფილ იედიგაროვი და მისი კანდიდატი ლუარსაბ მელიქ-ბეგლაროვი.

მთავარ-სამმართველოს უფროსის განკარგულებით დამსწრე ხალხს დაურიგდა თითო ეგზემპლიარი ნამესტნიკის სიტყვისა ქართულის თარგმანითურთ, იმ გლეხთა შესახებნი წესნი, რომელნიც მსახურებად ჰყვანდათ მებატონეებს (дворовые люди) და წესი იმისი, თუ რა რიგად უნდა ეხადნათ ყოველ-გვარი ხარჯი გლეხებს ორის წლის განმავლობაში, ვიდრე შესდგებოდა ესრედ-წოდებულნი მთავარ-სიგელნი (уставныя грамоты).

შემდეგ მამასახლისნი და დეპუტატები გაემართნენ ნიკოლოზის მოედანზე, სადაც მის უმაღლესობას დაემზადებინებინა მათთვის სადილი.

მაშინ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლად იყო დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელიც იქ მყოფ თავად-აზნაურებთან ერთად გაემართა სასახლეში. თავად-აზნაურობამ სასახლის დიდს დარბაზში მოიყარა თავი. მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გამობრძანდა დარბაზში თავად-აზნაურობასთან თვისის ამალითა, მთავარ-სამმართველოს უფროსითა, ცენტრალ კომიტეტის წევრებითურთ. მისის ბრძანებით ბარონ ნიკოლაიმ წაიკითხა უმაღლესი რესკრიპტი, მის სახელობაზე დაწერილი, იმის შესახებ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ფული უბოძა თავად-აზნაურობას იმ პირადის სამსახურის მაგიერ, რომელსაც უწევდნენ აწ უკვე განთავისუფლებულნი გლეხნი. ამის შესახებ გუბერნიისა და მაზრის

თავად-აზნაურთა წინამძღოლნი მთლად იქ მეოთე თავად-აზნაურობით სადილად მიიწვია დიდმა მთავარმა.

ამით გათავდა 8 ნოემბრის ამბები ტფილისში.

სამაზრო ქალაქებში უმაღლესის ბრძანების გამოსაცხადებლად გლეხთა განთავისუფლებისა და საგლეხო კანონ-დებულებათა შესახებ მის უმაღლესობის განკარგულებით გაგზავნილ იქმნენ განსაკუთრებული სანდო კაცნი, გორს—ტფილისის გუბერნატორი კ. ი. ორლოგუკი, თელავს—ი. ვიტტე*), ხოლო სიღნაღს—ნ. ბარანოვსკი. ამ ქალაქებშიაც ეოველივე საქმის შესახები ქალაღლები წაკითხულ იქმნა განგებ გაგზავნილ კაცების მიერ მოედანზე თანადასწრებით, როგორც საერო, ისე სამხედრო-სამაზრო მთავრობის და ხალხის წარმომადგენლებისა.

დღეს, 34 წლის შემდეგ, როცა ამოდენი ხანი გავიდა მას უკან, რაც ეს შესანიშნავი ამბები მოჭხდა, როცა ძველს თაობას, ბატონ-უმობის ჭაერში აღზრდილს, მოჭვეა ახალი თაობა, უმაწვილობიდანვე შეჩვეული ახალ წეს-წეობილებას; დღეს, როცა ეოველივე ადგილდა, ადგმინდა და ადწყნარდა, ძნელია მიჭხვდეს ადამიანი, რა მდგომარეობით და გულის ჩქროლვით ელოდნენ ტფილისში ამბავს იმ-თგან, ვინც მაზრებში იეენენ გაგზავნილი ბატონ-უმობის გადავარდნის გამოსაცხადებლად; მდგომარეობით ელოდნენ, რა ამბავი მოვიდოდა იქიდან, ამიტომ რომ არ იცოდნენ, მშვიდობით ჩაიგლიდა თუ არა ამისთანა დიდისა და ცხოვრების ძირეულად შემცვლელის კანონის გამოცხადება. რა სისწრაფეთა და მოუთმენლობითა ჭგზავნიდნენ მაზრებიდან ტფილისში იქ გაგზავნილი კაცები შიგრიკებსა, ამას ცხადად დაგვანახვებს ერთი ამბავი: თელავიდან გამოგზავნილი შიგრიკი დავით ანდრონიკაშვილი ისეთის სისწრაფით თურმე წამოვიდა ტფილისს, ეგებ მალე ვახარო ამბავი, მშვიდობიანად ჩაიარა ბატონ-უმობის გადავარდნის გამოცხადებამაო, რომ ცხენმა ვერ შეუძლო და გზაში მოუკვდა. არ ვიცით, როგორ ჩამოახწია ამ ოფრინდამ ტფილისს იმ დღესვე, ხოლო ეს კი ცნობილია, რომ, რაკი საკუთარი ცხენი გზაში მოუკვდა დაღალობით, ტფილისის გუ-

*) ეხლანდელ ფინანსთა მინისტრის მამა.

ბერნატორის განსაკუთრებულის შუამდგომლობით, ანდრონიკაშვილს მისმა უმაღლესობამ ფული უბოძა საჩუქრად.

პირველი დღე—8 ნოემბერი, ყველგან მშვიდობიანად დაღამდა. თავად-აზნაურობამ ჯეროვანის დარბაისლობით, ამ ისტორიულის წუთის ყოვლადის შეგნებით და ფრიადის მოწიწებით მოისმინა ბრძანება გლეხთა განთავისუფლებისა, ხოლო თვით გლეხნი ცდითაც არსად სცდილან კეთილ-გონიერების საზღვარს გადასცილებოდნენ. ერთის სიტყვით, დიდებული დღე დაღამდა მშვიდობით, წესისა და მყუდროების დაურღვეველად, სასიხარულოდ მეფე-განმათავისუფლებელის საკაცთ-მოყვარეო რეფორმების ყოველ ჭეშმარიტის მომხრესი.

უმაღლესის ბრძანების გამოცხადება სამსავე ზემოხსენებულ სამაზრო ქალაქში ისეთისავე დღესასწაულებრივის გამოჩინებითა და დიდებულობით მოჰხდა, როგორც ტფილისში. რადგანაც ცერემონიალი ბატონ-ყმობის გადავარდნის გამოცხადებისა ყველგან ერთნაირი იყო, ამიტომ ვიკმაროთ აღწერა იმ გარემოებათა, რომელიც შეუდგა უმაღლესის ბრძანების წაკითხვას გორში 8 ნოემბერს 1864 წლისას. გორის მაზრა თვისის მიწა-წყლის სიდიდით და თავად-აზნაურობის რიცხვ-მრავლობით უფრო საშიში უნდა ყოფილიყო იმ მხრივ, თუ რამდენად კეთილად ჩაივლიდა იქ ეს ამბავი და ამიტომაც იქმნა გაგზავნილი ამ მაზრაში ისეთი გამოცდილი და ჭკვიანი ადმინისტრატორი, როგორიც იყო მაშინდელი ტფილისის გუბერნატორი კ. ი. ორლოვსკი. კონსტანტინე ივანეს ძემ იმავე 8 ნოემბერს აუწყა მთავარ-სამმართველოს უფროსს, მისის უმაღლესობის კავკასიის ნამესტნიკის საცნობელად, რომ «თუმცა დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი, თუმცა დიდად სხვა-და-სხვაობდა გრძნობანი, რომელიც აღელვებდა ამ ხალხს, რადგან სხვა-და-სხვაობდნენ დამსწრე წოდებანი, მაინც საოცარი წესიერება იყო დაცული; ის მყუდროება, მშვიდობიანობა და მოწიწება დიდად საყურადღებო ამბისადმი, რომელიც აქ იხილვებოდა, სწორედ ყოვლად სასახელო საქმედ უნდა ჩაითვალოს მთელ ამ მხრის მკვიდრთათვის».

ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა გლეხთა განთავისუფლების შესახებ შემდეგის წესითა და რიგით იქმნა გამოცხადებული გორში:

1. გარდახდილ იქმნა საკრებულო ტაძარში სამადლობელი პარაკლისი, რადგან მისის იმპერატორებითის უმაღლესობის, კავკასიის ნამესტნიკის სახელწოდების დღე იყო. საჩენ ადგილს იდგნენ: ორლოვსკი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ერისთავი და საერო და სამხედრო მთავრობის წარმომადგენელნი. შემოსილი სამღვდელოება ლიტანიით გაემართა მოედანზე და დასდგა იქ, საცა წინადვე ნაჩვენები ჰქონდა ადგილი.

2. ორლოვსკი ავიდა განგებ გამართულ ბაქანზე იმათთან ერთად, ვინც ცერემონიალით იყო დანიშნული. ავიდნენ ისინიცა, ვინც ტფილისიდანვე მოჰყვენენ ორლოვსკის, სოვეტნიკი საგუბერნიო მმართველობისა აქიმოვი*), განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელენი: მელიქ-ბეგლიაროვი და იაგნიცკი. ორლოვსკიმ გამოუცხადა თავად-აზნაურობას, გლეხ-კაცობას და მთელს ერს ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა, რომელიც მაშინვე ქართულადაც იქმნა წაკითხული ბლაღოჩინის სოლომონ სახანაშვილის მიერ. გუბერნატორმა მიულოცა ხალხს ეს ამბავი და ხალხმაც იგრიალა და სიხარულით იძახდა «ურასა».

3. შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მუხლ-მოდრეკით ხელმწიფე იმპერატორის სიმრთელითა და დღეგრძელობით ცხოვრებისათვის. პარაკლისს დაესწრო სხვათა სამღვდელოებაც, სახელდობრ სამღვდელოება სომეხთა და კათოლიკეთა.

4. ორლოვსკი კვლავ ავიდა ბაქანზე ზემოხსენებულ მოხელეებითურთ და წაიკითხა მიმართვა მისის იმპერატორებითის უმაღლესობისა, კავკასიის ნამესტნიკისა. ეს მიმართვაც დამსწრეთ დიდის სიხარულით მიიღეს და ერთხმად დასძახეს «ურა». ბლაღოჩინმა ხახანაშვილმა მიმართვაც მაშინვე წაუკითხა ხალხს ქართულად. ამ დროსვე იქმნა წაკითხული სახელი და გვარი მომრიგებელ შუაკაცთა და მათის კანდიდატებისა. მომრიგებელნი შუა-კაცნი, ორლოვსკის თხოვნით, ავიდნენ მაღლა ბაქანზე და დაენახვნენ ხალხს*).

---

*) ეხლანდელი წევრი—საქმეთ-მწარმოებელი ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოსი.

*) გორის მაზრის მომრიგებელ შუა-კაცებად იქმნენ დანიშნულნი: 1 განყოფილებისათვის—კორნეტი თ. რევაზ შალვას ძე ერისთავი, მის კანდიდატად—თ. სოლომონ ზურაბის ძე ერისთავი; 2 განყოფილებისათვის—შტაბს-კაპიტანი

5. როცა სამღვდელოება დაბრუნდა უკან საკრებულო ტაძარში, გლეხ-კაცობას დაურიგეს თითო ცალი საგლეხო კანონდებულებისა. არ დაურიგეს მხოლოდ დებულება მომრიგებელ შუა-კაცთა დაწესებულებისა, მსახურთა და ხიზანთა შესახები, რადგან ეს დებულება არ იყო ქართულად თარგმნილი და შიშობდნენ, ვაი თუ სხვაფრივ გაიგონ რუსულად დაბეჭდილი დებულებანი და ბოროტ-განმზრახველობით სხვაფრივ ახსნას ვინმე ზოგიერთი მისი მუხლიო. თავად-აზნაურთ კი წინამძღოლმა დაურიგა რუსული დებულებანი.

6. თავად-აზნაურობამ თავი მოიყარა მაზრის უფროსის თავ. ერისთავის სახლში და იქ გამოეცხადათ უმაღლესი რესკრიპტი, რომ თქვენ გებოძათ ამდენი და ამდენი ფული ყმათა ჩამორთმევის მაგიერ და იმ პირადის სამსახურის ნაცვლად, რომელსაც გიწევდათ გლეხკაცობაო. ეს რესკრიპტი აღტაცებით მოისმინა თავად-აზნაურობამ და ერთგულის ქვეშევრდომობის გრძნობანიც გამოსთქვა ხელმწიფე იმპერატორის მიმართ.

7. შემდეგ, კ. ი. ორლოვსკიმ მისის უმაღლესობის, კავკასიის ნამესტნიკის სახელით, მიიწვია ხალხი სადილად. სადილი მომზადებული იყო ზემოხსენებულს მოედანზე, სადაც ერთს მხარეს თავად-აზნაურობისათვის იყო გაშლილი სუფრა, ხოლო მეორეს—გლეხ-კაცობისათვის.

სადილად იყვნენ მოწვეულნი თავად-აზნაურთა (300 კაცი), მართლ-მადიდებელ, სომეხთა და კათოლიკეთა სამღვდელოების გარდა, სამხედრო-საერო მთავრობის წარმომადგენელნიც, გორის ქალაქის დეპუტატები და საპატიო მოქალაქენი. გლეხებთან ერთად გაუმასპინძლდნენ დიდის მთავრის სახელით ჯარის-კაცებსა და ყაზახებსაც, რომელნიც პარადში იღებდნენ მონაწილეობას, აგრეთვე ამქრებს უსტაბაშებითურთ და საერობო დარაჯობის მოხელეთა.

კონსტანტინე ზაქარიას ძე თარხნიშვილი, მის კანდიდატად თ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილი; 3 განყოფილებისათვის—გედევან ქრისტეფორეს ძე ანანიაშვილი, მის კანდიდატად თ. დ. ლ. აბაშიძე; 4 განყოფილებისათვის—თ. გიორგი ივანეს ძე ციციშვილი, კანდიდატად თ. დავით ლუარსაბის ძე ერისთავი და 5 განყოფილებისათვის—პოდპორუჩიკი ალექსი კვალიაშვილი, კანდიდატად—როტმისტრი ალნათიშვილი.

8. სადილზე გუბერნატორმა სამი სადღეგრძელო წარმოსთქვა: ერთი ხელმწიფე იმპერატორისა, მეორე — დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მესამე — ორსავე წოდების — თავად-აზნაურობისა და გლეხ-კაცობის — კეთილ-დღეობისა და წარმატებისათვის. თითოეულ სადღეგრძელოს შემდეგ გლეხ-კაცნი მოდიოდნენ ორლოვსკისთან და გულ-წრფელს მადლობას სწირავდნენ. ერთმა მათგანმა დაახლოვებით შემდეგი მოახსენა გუბერნატორს:

«ქალაქს რომ დაბრუნდებით, მოახსენეთ დიდს მთავარს ჩვენი გულითადი მადლობა იმ მოწყალებისთვის, რომელიც ნამესტნიკმა გამოსთხოვა ჩვენთვის ხელმწიფესა; მადლობა მოახსენეთ, რომ ასე მოწყალებით გვექცევა და მუდმივ ჩვენთვისა ზრუნავს. სულ იმას შევსთხოვთ ღმერთსა, რომ ბედნიერად და დღეგრძელობით ამყოფოს მისი უმაღლესობა».

ეს სიტყვები ცხადად ამტკიცებს, ვის აწერდა მდაბიო ხალხი გლეხთა განთავისუფლების საქმეს ჩვენში.

9. სადილს შემდეგ გუბერნატორი გლეხ-კაცობასთან მივიდა; მივიდა მათთანვე თავად-აზნაურობის წინამძღოლიცა, რომელსაც გარს ერტყნენ თავად-აზნაურნი, და მიჰმართა გლეხ-კაცობას გამოთხოვების სიტყვით. ორლოვსკი ჰმოწმობდა მთავრობის წინაშე, რომ წინამძღოლის სიტყვა დიდად მოეწონათ საყოველთაოდაო. აი რა სთქვა წინამძღოლმა თავადმა ერისთავმა:

«გლეხ-კაცნო! მოგილოცავთ, ვითა წინამძღოლი, ჩვენის ხელმწიფის წყალობასა — თავისუფლების მოხიჭებასა. ჩვენის მხრით, ჩვენც, თავადაზნაურნი, ჩვენის ხელმწიფის სურვილისამებრ, თანახმანი გავხდით თქვენის განთავისუფლებისა. მაშ, ჩავიბეჭდოთ გულში დღევანდელი მაღალ-მნიშვნელოვანი დღე, როგორც ჩვენის, ისე თქვენის ცხოვრებისა და გავიხსენოთ ჩვენი ურთიერთობა, ჩვენი ძველებური, სათნოებით სავსე ერთმანეთობა. როცა საერთო უბედურება რამ დაგვატყდებოდა, ან მტერი დაგვესხმოდა თავს, ორივე წოდება, თქვენცა და ჩვენც, შევერთდებოდით ხოლმე და ერთსულობით ვებრძოდით ჩვენის მშობლის ქვეყნისა და სარწმუნოების მტერს. ასე იყო დღემდე: ჩვენ თავადაზნაურნი მამობას გიწევდით, ხოლო თქვენ შვილები იყავით ჩვენი. ახლა, როცა გამოცხადდა

საგლეხო კანონ-დებულებანი, როცა ბატონ-ყმობა გადავარდა, ჩვენი ურთიერთობა უნდა შეიცვალოს—ისე უნდა ვსცხოვრობდეთ ახლა, როგორც ღვიძლი ძმები. დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, არც ახლა მიგატოვებთ და არ მოგაკლებთ მზრუნველობას. თქვენის მხრით, ნურც თქვენ ამოირეცხავთ გულს ჩვენზე, ნუ უარ ჰყოფთ თქვენთა მამა-პაპათაგან ნაანდერძევს, დაბადებითვე თან-დაყოლილს ერთგულებას თავად-აზნაურობისადმი და ვიყვნეთ ყველანი ერთად, თავად-აზნაურნიცა და გლეხნიც, ერთგულნი ქვეშევრდომნი ჩვენის ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფისა. შეურყეველი ერთგულება კანონიერის მეფეებისა განსაკუთრებული ხასიათია ქართველთ ერისა წოდების განურჩევლად. შევირჩინოთ, მაშ, ეგ ხასიათი მომავალშიაცა, ძვირფასნო ძმანო ჩემნო! ვსვამ მთელის ქართლის თავად-აზნაურობის სახელით თქვენს სადღეგრძელოს და ვისურვებ თქვენთვის ყოველსავე კეთილდღეობას და წარმატებას ახალს ცხოვრებაში. კეთილად მოსაგონებელი იყოს თქვენი მამაშვილური ერთგულება ჩვენდა მიმართ და ჩვენი მამობრივი მზრუნველობა თქვენის ბედნიერებისათვის»!

კ. ორლოვსკის მოწმობით, «ამ სიტყვის წარმოთქმით დასრულდა 8 ნოემბრის დღე, სამარადისოდ დასახსომებელი საქართველოსთვის». საღამოზე გორი გაჩირაღდნებულ იქმნა, ხოლო მოედანი, რომელზედაც შესრულდა იმ დღის სადღესასწაულო ცერემონია, მორთული იყო ვენზელებრ დახატულის ერისათვის ძვირფასის ხელმწიფე იმპერატორისა და დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის სახელებით.

—

15 ნოემბრისთვის იყო დანიშნული წაკითხვა 13 ოქტომბრის 1864 წლის თარიღით აღნიშნულის უმაღლესის ბრძანებისა გლეხთა განთავისუფლების შესახებ ტფილისის გუბერნიის ყველა სოფლის ეკკლესიაში. ამ აზრით, საქართველოს ეგზარხოსმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინა და შესაფერი დარიგება დაუგზავნა ბლაღოჩინებს. ხოლო საერო მთავრობამ გაუგზავნა ბლაღოჩინებსვე საჭირო რიცხვი საგლეხო კანონ-დებულებათა წიგნებისა ქართულის თარგმანითურთ და დაავალა მაზრისა და ოლქის უფროსებს, ჯეროვანი შემწეობა

და დახმარება აღმოეჩინათ ამ წიგნების დაგზავნის საქმეში, რათა ეროვნულ მრევლს მისვლოდა ის წიგნები. სამრევლოების რიცხვი მაშინ მთელს გუბერნიაში 381 იყო. თუმცა სოფლის ხალხს უკვე გაგებული ჰქონდა თავიანთ მამასახლისებისა და დეპუტატებისაგან, რაც საადგილმამულოს ამბები მოხდარიყო 8 ნოემბერს ტფილისსა, გორსა, თელავსა და სიღნაღში, ისე რომ 15 ნოემბერს ის ახალს ადარას გაიგონებდა, მაგრამ მაინც ბრძანების წაკითხვამ ბატონ-უფობის გადავარდნის შესახებ ეკკლესიაში შემოსილ მღვდლების მიერ, როგორც მოსწრებულნი კაცნი ამბობენ, დიდად იმოქმედა ორსავე წოდებაზე და მრავალ-გვარი გრძნობა დაჭბადა მათს გულში: ზოგი აგულჩვილა და აღტაცებაში მოიყვანა, ზოგი დაადონა და გააშტერა.

დღესაც მთელს ქართლშია გავრცელებული ერთი ზღაპრის მზგავსი ამბავი, რომ ვითომ ერომა აზნაურიშვილის ქვრივმა, მოხუცებულმა მანდილოსანმა, რაცა შვილი დადონებული მიუვიდა გორიდან ბატონ-უფობის გადავარდნის მეორე-მესამე დღეს, ჰკითხა: რას დადონებულხარ, ხომ არა წაგეკიდა-რა ავიო? შვილმა თურმე უპასუხა, რომ მოხელეებმა, მეფის ბრძანებით, გამოუცხადეს გლეხ-კაცობას, თავისუფალნი ხართო და ამას იქით შენ, დედაკაცო, შენ ბატონი აზნაურიშვილის ქვრივი, ქალბატონი ადარა ხარო. «როგორ თუ,—შეჰკვირა თურმე მოხუცმა და, რასაკვირველია, არ დაუჯერა შვილს, ვერ წარმოიდგინა, რომ მაგისთანა რამ ამბავი შესაძლებელი ეოფილიყოს,—როგორ თუ თავისუფლებაა?! განა ეგ საფიქრებელია? მერე მამა-მაზე სად იყო, რაცა მოხელეები მაგისთანა რაშვა მოჰყვენენ? (მამა-მაზე იყო ერთი გავლენიანი თავადაშვილი—ერისთავთაგანი)».

განსაკუთრებულის ძალიერებით იმოქმედა ხალხზე ნამესტნიკის მიმართვამ. დროულ კაცთა მოწმობით, მიმართვის უკანასკნელმა სიტყვებმა ბევრს ადგრეკინა ტრემელი სიხარულისა და მადლობისა იმათ მიმართ, ვინც იყვნენ მიზეზნი გლეხ-კაცთა განთავისუფლებისა. მართლაც, უკანასკნელი სიტყვები მიმართვისა, გამსჭვალული სიყვარულით განთავისულფლებულ გლეხ-კაცობისადმი და თან მის ნდობითაც, ისეთი სიტყვებია, რომ არ შეიძლებოდა დრმად არ შეერეა

გული გლეხ-კაცთა. გლეხ-კაცობამ დიდსანს ითმინა საშინელება და ეოვლადი უმსგავსობა თვისის უფლება-აურილ მდგომარეობისა და ბატონ-ყმური წეს-წყობილებისა, რომელიც საზოგადოდ საძძიმო და საზიზღარი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ათასში ერთგან და ათასში ერთხელ ბატონ-ყმური ურთიერთობა შესაძნელად სათნო ხასიათს იჩენდა და მამა-შვილურს, მამობრივის მზრუნველობით გამსჭვალულ დამოკიდებულებას მიაგვანდა. მაგრამ აი თვით სიტყვები მიმართვისაც:

«მგვიდრნო სოფლისანო, ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებულნო!

«იმედი მაქვს დაათვალებთ და მიხვდებით, რა დიდის ეურადღების დირსია და რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელს დღეს, რომელიც ახალს გზას გიხსნით; დაათვალებთ იმ უფლებათა ძალას, რომელიც დღეის ამას იქით თქვენ განიჭებათ და რომელიც გაგხდით თქვენის ქონების სრულ და ხელ-შეუვალ ბატრონად, თქვენის ოფლისა და ამაგის სრულ ბატონად. იმედი მაქვს, მიხვდებით, ვის მადლობელნიც უნდა იყვნეთ ამ წეალობისათვის. ხელმწიფე იმპერატორი მოწადინებულია მოაწეოს და მოაგვაროს კეთილი ცხოვრება ყველა თავის ქვეშევრდომისათვის და, რასაკვირველია, არც თქვენ გამოგწირავდათ, არც თქვენ მოგაკლებდათ თავის უმადლეს ზრუნვასა.

«თქვენთვის ახალ გზა ხსნილია და ამ გზაზე სიარულით თამამად შეგიძლიანთ კეთილი ცხოვრება დაიმკვიდროთ; პატიოსანი, გულ-დამყარებულის შრომით თქვენ შეგიძლიანთ კიდეც უფრო განვითაროთ იგი კეთილი ცხოვრება, დაზოგვითა და მწიკვლ-მოუცხობელის ცხოვრებით განაძლიერებთ თქვენთა და თქვენთა შვილთა ქონებას. ეს არის სურვილი ხელმწიფე იმპერატორისა. ამის იმედი მაქვს მეც თქვენგან.

«კეთილი ეფლისა იყოს მცა თქვენ თანა იმ ახალს გზაზე, რომელიც იხსნება თქვენ წინა».

ასეთის ენით მანამ-დე არავინ ელაპარაკებოდა გლეხ-კაცობას და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ნამესტნიკის მიმართვის სიტყვები დრმად ჩასწვდათ გულში გლეხ-კაცებს. ხოლო დაპირება მისის უმადლესობისა, რომ მე თვითონ ვადევნებ თვალ-ყურს ჩემ

მიერ დანიშნულ მომრიგებელ შუა-კაცთა და საგლეხო საკრებულოს მოღვაწეობასაო, სრული თავ-მდები უნდა ყოფილიყო მისი, რომ გლეხთათვის «ახლად გახსნილი გზა კეთილ-დღეობის შეძენისა» ჯავნარად არ გადაიქცეოდა*).

ამ სახით, 8 და 15 ნოემბერი 1864 წლისა იყო დღეები ბატონ-ყმობის საბოლოოდ გადავარდნისა საქართველოში და ამიტომ ამ ორს დღეს არა მცირედი საისტორიო მნიშვნელობა აქვს. გარნა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც საქმე ისე ვერ დაბოლოვდა, რომ სასაცილო რამ ამბავი არა მომხდარიყო-რა. მთავრობას დაავიწყდა დაებარებინა 13 ოქტომბრის 1864 წლის ბრძანების გამოცხადების მოსასმენად მამასახლისნი და დეპუტატები ფშავ-ხევსურეთის 15 სოფლიდან და მთის ოლქის 5 სოფლიდან. ერთის სიტყვით, მთავრობა ჰგონებდა, რომ 15 ნოემბერს, საღამოზე არც ერთი ყმა აღარსად მოიპოვება მთლად ტფილისის გუბერნიაშიო; ის კი არა თუ მთელის 20 სოფლის გლეხ-კაცობამ, რომელიც სცხოვრობდა საქართველოს ყრუ და მივარდნილს კუთხეებში, სრულიად არა იცოდარა თავისის ბედისა. მალე კი მიხვდა მთავრობის მოხელეობა თავის შეცდომას და 16 ნოემბერს გაეგზავნა ქაღალდი თიანეთისა და მთის ოლქის უფროსს, მოუყარეთ თავი ზემოხსენებულ 20 სოფლის წარმომადგენელთ ერთს რომელსამე ადგილას და გამოუცხადეთ ბრძანება ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ იმავე წესით, რა წესითაც სხვა სოფლებში გამოცხადდა ეგ ბრძანებაო.

გავიდა ერთი კვირა ასეთს გამწვავებულს მოღვაწეობაში, კვირა ფრიად შესანიშნავი და საგულისხმიერო (8—15 ნოემბრამდე) და მთავარ-სამმართველოს უფროსმა მიიხმო ტფილისის ყველა მომრი-

---

*) მოხუცებულნი გვიამბობენ, რომ უმაღლესის ბრძანების კითხვის დროს სოფლის ეკკლესიებში დალაბანდის კვრა იყოვო. ოფიციალურს ქაღალდებში არავითარი ამისთანა განკარგულება არ მოიპოვება. და არც ყველგან იქნებოდნენ მედალაბანდენი. ხოლო რომ კითხვა ბრძანებისა ზოგიერთს სოფლებში უდალაბანდოდ არ მომხდარა, არც ეგ არის საეჭვო. არც ის არის ცნობილი, ვისი აზრი უნდა ყოფილიყო ეს უცნაური აზრი დალაბანდის კვრისა? უეჭველი მხოლოდ ის არის, რომ ახალს ხანას ორის წოდების ცხოვრებისას ეგ დაფის კვრაც მართლა თან დაჰყვა ზოგიერთს ეკკლესიაში და ისე გაისმა, თითქო ანდერძს უგებენ ძველს საზოგადოებურს წეს-წყობილებას; იმ წეს-წყობილებასაო, რომელსაც უკვე მოეჭამა თავისი წუთი-სოფელი და საფლავში აპირობდა ჩასვლას.

გებელნი შუა-კაცნი და მათი კანდიდატები, რომელნიც უნდა წარდგენოდნენ მის უმაღლესობას, კავკასიის ნამესტნიკს. მომრიგებელმა შუა-კაცებმა ინახულეს მისი უმაღლესობა და პირად მისგან მოისმინეს შესაბამი დარიგება და მიიღეს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედნათ უკვე გამოცხადებულის ცვლილების განსახორციელებლად*). «პირველ მოწოდების» ანუ პირველად დანიშნულ მომრიგებელ შუა-კაცთა ხერხიანობას, მათს საქმისადმი გულ-წრფელს სიყვარულსა და ერთგულებას უნდა ეუმადლოდეთ, უნდა ეუმადლოდეთ აგრედვე იმ მადლს მზრუნველობასა და ეურადღებას, რა მზრუნველობითა და ეურადღებითაც ადევნებდნენ თვალ-ეურს საგლეხო რეფორმის მსვლელობას მისი უმაღლესობა და მისნი დირსეულნი თანამოდვაწენი: ბარონი ა. ბ. ნიკოლაი და კ. ი. ორლოვსკი, რომ ორის წლის განმავლობაში ყველგან შედგენილ იქმნა ძირითადნი სიგელნი (уставныя грамоты); და შედგენილ იქმნა ისე, რომ არსად მეუდრეობა და წესიერება იოტის ოდნადაც არ დარღვეულა. მხოლოდ ერთი შემთხვევა მოჭსდა და ისიც გამოძიების შემდეგ ტრუპენტელობა ადმოჩნდა მხოლოდ. და ეი ამ შემთხვევამ შეაწუხა რამდენისამე წუთით გული ჩვენის ქვეყნის მადლის გამგებლისა. ეგ შემთხვევა იმდენად სახალისოა და თან სასაცილო, რომ არ შეგვიძლიან არ ვუამბოთ მკითხველს.

ნამესტნიკის ეურამდე მიაღწია ამბავმა, რომ სოფელს ახალქალაქში უწესობა მოჭხდაო და რომ ვითომ იარადიც იქმნა ხმარე-

---

*) მოვიყვანთ აქვე სახელსა და გვარს დანარჩენ მაზრების მომრიგებელ შუა-კაცთა, და ავრედვე საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრთაცა. თელავის მაზრაში: მომრიგებელი შუა კაცი 1-ლ განყოფილებისა მისის უმაღლესობის ამალის გენერალ-მაიორი თ. დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, კანდიდატი პაატა მგალობლიშვილი; მე-2 განყოფილებისა—თ. ი. რ. ჯორჯაძე, კანდიდატი თ. მიხეილ ყარალაშვილი; სიღნაღის მაზრაში: 1-ლ განყოფილებისა თ. სვიმონ თომას ძე ანდრონიკაშვილი (დღესაც მომრიგებელ შუა-კაცად იმყოფება), კანდიდატი თ. დავით ვაჩნაძე; მე-2 განყოფილებისა თ. რევაზ ვაჩნაძე. 8 ნოემბერს შემდგარ საგლეხო საქმეთა საკრებულოში იყვნენ: თავსმჯდომარე (თვით გუბერნატორი), წინამძღოლი გუბერნიის თავად-აზნაურობისა დ. ი. ყიფიანი, ოთხი წევრი, არჩეული თავად-აზნაურობის მიერ: გენერალ-მაიორი თ. ვახტანგ ორბელიანი, სტატსკი სოვეტნიკი თ. რამაზ ანდრონიკაშვილი, თ. ვახტანგ გურამიშვილი და თ. ერასტი ჩოლაყაშვილი; ოთხი წევრი საქმეთ-მწარმოებელი: თ. იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე, იოსებ ქრისტ. ძე მამაცაშვილი, კ. დ. დოლინსკი და კორნ. ალ. ბოროზდინი და ორი უფროსი მოხელე კავკასიის ნამესტნიკის მთავარ-სამმართველოსი, სულ 12 კაცი.

ბულით. ეს ამბავი გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა დეპეშით აცნობა გორის მაზრის უფროსს და თან სთხოვა, პირადად თქვენ გამოიძიეთ ეგ საქმეო. თ-დი ერისთავი მივიდა ახალ-ქალაქს და არავითარი კვალი უწესოებისა იქ არა სჩანდა-რა. სოფელი არავითარ ბაიბურში არ იყო და ჩვეულებრივი, სადაგი ელფერი ედო მის მიყუჩებულს ცხოვრებას. უწესოების ამბავი აი საიდან თურმე გაჩნდა; 27 ნოემბერს მოვიდა გორიდან ახალქალაქის საფოსტო სადგურზე სამხედრო-სამუშაო რაზმის კომანდირი შტაბს-კაპიტანი კრიჟანოვსკი და სადგურის უფროსს ცხენები მოსთხოვა. ცხენები აქეთ-იქით იყო გაგზავნილი და კრიჟანოვსკი ცარიელი დარჩა. მართალია, უფროსს კიდევ ჰყავდა 5 თავისუფალი ცხენი, მაგრამ ეგ ცხენები უფროსმა შტაბს-კაპიტანს არ დაანება და უჩვენა კიდეც მოწერილობა გუბერნატორისა, 5 ცხენი მუდამ მზადა გყავდესო, ამ დღეებში გამოივლის გენერალ-ადიუტანტი ბარონ ნიკოლაიო (ძმა მთავარ-სამმართველოს უფროსისა). კრიჟანოვსკიმ მოინდომა გაეგო მიზეზი ბარონის მისვლისა ახალ-ქალაქში, მაგრამ სადგურის უფროსმა ეგ მიზეზი არ იცოდა და რას ეტყოდა. მაშინ კრიჟანოვსკიმ შეჰყვირა თურმე: «თქვენ სულ ძინავთ და არა იცით-რა! ბარონი იმიტომ მოდის აქ, რომ მებატონეთა და გლეხთა შორის უწესოება მომხდარა ახალ-ქალაქში და უწესოების დროს იარაღიც უხმარნიათ». უფროსმა კალუგინმა ეს სიტყვები კრიჟანოვსკისა გადასცა ერევნის პოლკის აფიცრების შტაბს-კაპიტანს ფედორენკოს და პრაპორჩიკს ბირშერტს, ხოლო ფედორენკომ უამბო ყოველივე ესე ახალ-ქალაქში მოსულს 27 ნოემბერს მისის უმაღლესობის კარის შტალ-მეისტერს დ. სტ. სოვ. გროტს, რომელმაც მისწერა ნამესტნიკს, რომ ვითომ ახალ-ქალაქში უწესობა მოჰხდაო.

ეს გარემოება იყო ერთად-ერთი უსიამოვნო ამბავი 1864 წლის მიწურულებში მომხდარ შესანიშნავ სადღესასწაულო ამბავთა შორის.

დასასრულ, ორიოდე სიტყვაც. ეს საისტორიო ცნობა, შედგენილი ოფიციალურ ქაღალდების მიხედვით, არ არის, სამწუხაროდ, გასულდგმულებული ბატონ-ყმობის გადავარდნის მომსწრეთა ცხოველის ნაამბობითა, რადგან მწერლობაში სრულიად არ მოიპოვება

3955

ამ გვარნი ნაამბობნი დროულ კაცთა ანუ მემუარები*). ხოლო ამ საისტორიო ცნობის მცირეოდენ შესავსებლად აქვე დავსძენთ, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ოქროს საათი უბოძა გორის ბლაღოჩინს სოლომონ ხახანაშვილს იმ განსაკუთრებულის შემწეობისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა მთავრობას მაშინ, როცა 8 ნოემბერს გორში გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება გლეხთა განთავისუფლების შესახებ, ხოლო ფოტოგრაფებს: მაკაროვიჩს, ხლამოვსა და კონდრატენკოს ებოძათ ძვირფასის თვლებით მოჭედილი ბეჭდები იმ შრომისათვის, რომელიც მათ გასწიეს მით, რომ აიღეს სურათი სადღესასწაულო ამბებისა გორსა, თელავსა და სიღნაღში იმ დღეს, რა დღესაც გამოცხადებულ იქმნა ამ ქალაქებში უმაღლესი ბრძანება 1864 წლის 13 ოქტომბრის თარიღისა.

ალ. ყაფშიძე

სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музея имени Акад. И. Гришашвили
Академия наук

„მოამბე“ 1894 წ.
XII

*) „Рус. Архивъ“-ში დაბეჭდილი მოგონებანი მხცოვანის სახელმწიფო მოღვაწის ბარონ ა. პ. ნიკოლაისა შეეხება საქართველოში განხორციელებულ საგლეხო რეფორმის უმთავრეს საფუძველთა.

947.922
03 955